# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 409

"20" დეკემბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 3 დეკემბრის №19.1262.1596 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ: 01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5100 (ხუთი ათას ასი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე